



მწყემსი

მწყემსიან კთილმან სული
თვისი დაჰსდეს ცხოვართათვის
იონ. 10—11.

№ 7

1883—1909 წ.

15 აპრილი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტარატურო განაოფილება: დიდი მწყემსი (მოთხრობა წმიდა იოანე ოქროპირის დროიდან) თარგმანი მღვ. იოანე ლუკიანოვისა.—სპარსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და კავკასიასთან დამოკიდებლობა. დ. ლ.—მწარე ფიქრები სოფლის ხუცისა.—უკანასკნელი ამბები ოსმალეთში.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადებანი.

დიდი მწყემსი. *)

(მოთხრობა წმიდა იოანე ოქროპირის დროიდან)

თარგმანი
გაგრძელება

დიდ-კაცობა ანტიოქიისა ჩუმათ დაიშლენენ ღ დაღონებულები წავიდ-წამოვიდნენ.

ქუჩაზე ხალხი შემოაყვებია მათ.

— აბა, რა?

— ბრძანებს გადახდას. ეხლა საჩქაროდ დაიწყებს კრეფას.

— ეთხოვოს დაცდა, - გაისმა ხალხში. თითონ კეთისთან გავგზანათ. წადით ხელ-მეორედ მმართველთან.

რამდენიმე დიდ-კაცი დაბრუნდა პრეტორიაში; იქ აღარ დახვდათ მმართველი. ის იცნობდა ხალხს, შესწავლული ჰყავდა ფიცხელი სირიელები, და მას არ მოეწონა დაღონებული სიჩუმე წასულებისა.

— იმათ რომ ეხმაურებიათ და კიდევ ეყვირათ ფიქრობდა იგი, თუნდაც ეგნებინათ და მუშტები-თაც დ მუჭრებულებიყვენ, — ის ემჯობინებოდა.

* იხილეთ მწყემსი № 5—6 მარტი 1909 წ.

იმათ-კი ყოველივე გულში ჩაიმაჩხეს. რითი გათავდება ის?

და იგი გამოვიდა პრეტორიის მეორე მხარედან და გაეშურა ციხესავით გამოგრებულ სასახლეში.

— აქ არ არის მმართველი, — გამოუცხადეს მოსიარულეებმა.

— მაშ წავიდეთ მეუფესთან. მიტროპოლიტ ფლაბიანესთან. დაე, ის წავიდეს მმართველთან და ჩვენ მაგივრად ილაპარაკოს.

ათასეული ხალხის ჯგუფი გამობრუნდა და გაეშურა მიტროპოლიტის სახლისაკენ. მიტროპოლიტი ფლაბიანე იყო კეთილი კაცი, მაგრამ გაუბედვი, სუსტი ხასიათის და მცირე გამჭრიახი.

როდესმე ხალხი მივიდა იმის სახლთან და ბელადებმა მოითხოვეს, რომ ისინი შეეშვათ მწყემსმთავართან, ფლაბიანეს სახლის-გამგემ შეატყობინა ამათ, რომ მიტროპოლიტი ამ ჟამად სახლში არ იმყოფება.

— როგორ თუ სახლში არ იმყოფება? არ შეიძლება. უთხარი: ჩვენ ვთხოვლობთ, რომ იმან მოგვისმინოს, თორემ ძალით შევეცინებთ მას.

ქ. მარქსის სახ. საქ. წიგნ. სახელმწიფო რესპუბლიკის ბიბლიოთეკა



—ღმერთს გვეცემით, არ არის სახლში?
 —სად არის მაშ?
 —არ ვიცი.
 —იყოზე, სად წავიდა.
 —არაინ იცის.
 —მაშ ასე!—დაღვრემილად ჩაიცინა ეპიმახმა,

რომელიც იყო კამგე ნათესადგურის შვიდავ მუშენისა. დღესასწაულებზე, სიხარულის დროს, ის ჩვენთან არის; ეხლა-კი როდესაც უბედურობი თავს დაატყუა ქალაკს, იგი არ არის სახლში..

ხალხმა შესძახა:
 —არა? მონახეთ იგი!
 შეშინებული ხალხის გამგე მთლად აკანკალდა.

—ბატონებო, დაიჯერეთ, მწყემს-მთავარმა არ იცოდა თუ თქვენ მობრძანდებოდით იმასთან.

—არ იცოდა?—ყვიროდენ ხალხში. იმას უნდა სტოლნოდა. სახლის თავზე გრიგალი იკრთებდა, მამა-კი მიდის სალდაც, და სტოვებს თავის შვილებს მარტო!

ხალხი უფრო მომეტებულად ჯავრდებოდა, და საქმე შეიძლება სამწუხაროდ გათავებულიყო. საბედნიეროდ ვიღამაც ყველაზე ხმა-მალა დაიძახა:

—წავიდეთ მმართველთან. ჩვენ თითონ მოვთხოვთ მას, რომ გადასდოს ხარჯის აკრფვა.

—მმართველთან! მმართველთან! სასახლისკენ! ხალხი გამობრუნდა და მღელვარე ნიაღვარივით გამოსწია მდინარე ორონტისკენ. გზიდან სწანდენ იმპერატორის აბანოები, აშენებული კალიგულას მიერ.

ეს აბანოები წარმოადგენდნენ მშენებურ, საუცხოვო შენობებს: წვრილი მარმარილოს სვეტები, გამოქანდაკებული სახეები, დიდი სასანთლებები დიდი წყლის საცავი აუზები, მთებიდან გამოყვანილი მომდინარე ცისფერი წყლებით: კედლები დახატული იყო მხატვრების ხელით. გარშემო ჩაირგებული იყო ჩრდილიანი ხეები

ანტიკულებს საზოგადო უყვარდათ ამ ადგილებში ყოფნა, და ამაკობდნენ „იმპერატორის“ აბანოებით. ეხლა აბანოებმა მეტად მოაგონეს ხალხს იმპერატორი და მით გამოიწვიეს მასში ახალი აფეთქება გულისწყრომისა.

—წავიდეთ დავანგრიოთ აბანოები!
 —დავანგრიოთ! წავიდეთ!

ხალხი ველურის ყვირილით მიაწვა და გაეშურა პართენის წყლის ვაკესაკენ, სადაც მშვენოდენ აბანოები; მოაშურა გზაზე გადალობებული დარაჯები და სულ ერთ საათში შეემუსრა ყველაფერი. ბოძები დაამტვრევს. გამოქანდაკებული სახეები ჩამოყარეს, დიდი სასანთლებები ჩამოგლიჯეს, კედლებს ტალახი წაუსვეს, ხეები მოსჭრეს, დაჭარეს ერთად და დასწვეს წინანდელი სიმშენიერის მაგივრად და რაჩა გროვა ნანგრევთ რომელშიაც ველურად ყვიროდა, დარბოდა, მღეროდა თეოდოსესათვის სალანძღავ სიმღერებს ბრავმოართველი ხალხი, თითქოს დაეიწყდათ მმართველიც და თვით გადასახადიც. მაგრამ ეპიმახი, რომელსაც გზაზე შეუერთდა ბევრი შვიდავი მუშა, და რომელიც თითქოს გახდა ხალხის წინამძღოლად, ავიდა დამსხვრეულ ქანდაკებების გროვაზე და დაუყვირა:

—კმარა ეს საიმოვნება! თქვენ გელით საქმე, წავიდეთ მმართველთან!

—მმართველთან! მმართველთან! გაისმა ხმა ხალხში; და ხალხმაც, ვაბეგრებულმა რიცხივთ შემოერთებული ყოველივე მაწანწალებით, გასწია სელევიკების სასახლისაკენ, სადაც ეხლა იმყოფებოდა მმართველი.

მმართველმა უკვე იცოდა აბანოების დანგრევა; იცოდა რომ ხალხი იყო მიტროპოლიტ ფლავიანესთან; იცოდა რომ ეხლა მასთან მოდიოდა; მაგრამ იმან არ მოუტყადა. უბრძანა დეკეტატი რკინის მაგარი კარები მალალ ქვიტკირის კედელში რომელიც სასახლის გარშემო იყო შემორტყმული; თითონ წავიდა სამხედრო ბანაკში, ორონტის ნაპირზე, რამდენიმე ვერსის მანძილზე ქალაქიდან.

ერთი საათი გავიდა და ამის შემდეგ შორიდან მოისმა ხმაურობა, თითქოს შორს ზღვამ დაიწყო ოხრაო. ხმაურობა თან-და-თან იზრდებოდა, შემდეგ გამოსჩნდა ჯგუფი ხალხისა.

ერთ ჯვარდინა გზაზე ვიღაც კაცი, რომელიც ტრანსპონის ჰავადა მღვდელს, სკდილობდა გაფრებინა ხალხი:

—ჩემო მეგობრებო! ძვირფასო ძმებო! მოიცადეთ ერთ წამს. რას შევბით? დამშვიდდით ცოტა



გონს მოდით. ერთად წავიდეთ მმართველთან, წყნარად ვილაპარაკოთ.

ის ხმა-მალა ლაპარაკობდა, თითქმის ყვიროდა, მაგრამ გაშმაგებული ხმაურობა მრავალათასეული ხალხისა აქრობდა მის ხმას; ხოლო თითონ ის პატრა ტანის გამო არა სჩანდა.

— ეგ ვინ არის? ჰკითხულობდა ზოგიერთნი.

— ეს— იოანნეა, ცნობილი მქადაგებელი, რალასაც ლაპარაკობს.

— იოანნე? მოვისმინოთ: იოანნეს აქვს ოქროს გულიც და ოქროს პირიც. იგი მართალი კაცია და ერთგული მეგობრია ხალხისა. ის გვეტყვის, დადგირიგებს როგორ უნდა მოვიქცეთ, წამოგვიყვება ჩვენ მმართველთან.

მაგრამ ხალხი აწვევობდა. უკანანი ავიწროვებდნენ წინ-მყოფთ.

— გაიარეთ! გაიარეთ!

და აღელვებული ხალხის ღვარი დაუყენებლივ მიდიოდა წინ.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — შეოიკრა ხელი თავზე სხენებულმა იოანნემ. რა 'საშინელუბაა, როდესაც ხალხი ჰკარგავს ქუეს, ითვრება წყრომისაგან, და როდესაც მას სტოვებენ ბედის ანბარად! რა ეუყო? ხალხს წინ დაუდგე? შევეხვეწო მას? ვერ გვახწევ. რო ვილაპარაკო, არ ესმით, და თუმცა მოისმინონ, ეხლა ხალხი ბრაზიანია, ავთმყოფია. არ უნდა მიეყვანათ იგი აქმდის. ეხლა რაღა? იქნება სისხლი, სისხლი, და სისხლი!...

— უფალო! აღიხილნა იმან ლოცვით თვალეზი ზეცისაკენ. — უნ, რომელმაც შეაჩერე ქარიშხალი ზღვაზე, და უბრძანე ქარს ჩაღვამო, დაამშვიდეს აღელვებული ნიაღვარიც. აპატიე ამას და იმათაც, ვინც ააქაფა იმის ზვიროები. ნუ მისცემ სივრცეს ხალხის უნდურებას. და თუ მიუშვი ბოროტ ნებას დაღუპვა თავისისავე ბოროტებისაგან, მაშ მასწავე მე, მომეცე მე უძღლურს ძალა, რომ შევეცადლო ბოროტება ხალხისა იმისავე საკეთილოდ. როგორ მოვიქცე, რომ შენი წმიდა ნება იყვეს, ვითბრკა ცათა შინა ეგრეცა ჩვენში, პატარა დედა-მიწაზე, ჩვენს უგუნურ, დაუღვეარ და წამხდარ ანტიოქიაში.

იოანნემ დაიჩოქა, ქვითინით მოეხვია მახლო-

ბელ სახლის ბოძს, დიდ-ხანს და მხურვალედ ჩურჩულებდა ლოცვის სიტყვებს:

— უფალო! მასწავე!... ჩამოგონე!... განამტკიცე)... მომეცი ძალა!... მიმიღე მე მსხვერპლად ან საწყალები და უგუნურ ჩემი ძმებისათვის... საჭირო ტანჯვა? მე ვიკისრებ: საჭირო. იქნება ჩემი სიკვდილი? მე მივიღებ მას, როგორც მოწყალებას... გამომიცხადე მე შენი ნება. შემეწიე აღვასრულო იგი!

ანტიოქელები-კი ჯგუფად მიდიოდნენ და მიდიოდნენ უმთავრესი ქუჩით და ვერ ამჩნევდნენ კუთხის შესახვევში მარტოადენკაცს, რომელიც ცრემლმორეული მიჰკრავდა ცივ მარმარილოს. მემამოხეთა ჯგუფი მივიდა მმართველის სასახლესთან. ალაყაფის კარები დაკეტილი დახვდათ.

— გააღე! — ყვიროდა ჯგუფი. — ჩვენ გვინდა ვნახოთ მმართველი, იმან გამოგვიცხადა ჩვენ ნება იმპერატორისა, ეხლა დაე იმან მოისმინოს ჩვენი თხოვნა და მოახნოს იგი იმპერატორს.

— მმართველი არ არის სახლში, მიუგეს ყარაულებმა სხვლი რკინის ღობის გადღმიდგან. ის წავიდა დაფნაში.

— აა! ბოროტის მომასწავებელის ხმით შესძახა ხალხმა. — ისიც არ არის სახლში! არაფერ არ არის! გააღე კარები, ჩვენ მოუცლით მმართველს გალავანში.

ყარაულებმა ხმა არ გასცეს.

— გააღე! — გაისმა უფრო კიდევ მძვინვარე ყვირილი. — ყარაულები მაინც კიდევ ჩუმბათ იყვნენ. ხალხი გაბრაზდა.

— დაშკა მაგათ ქვები! დაყოლე მაგათ.

გალავნისაკენ დაიწყეს ქვების სროლა. ორიოდე მცველს ჯოხიც გადაარტყეს თავში ღობის გადღამა.

პასუხად მცველებმა ხუთი ექვსი შუბი გამოჰყვეს ღობეში და დაუწყეს ჩხვლეტა ხალხს. წინ მდგომებმა მოინდომეს უკან დახვევა, მაგრამ ადგილი აღარ იყო: უკან მთელი ქუჩა სიგძესიგანეზე მილად გაქვდილი იყო ხალხით. მოისმა გულ-შემზარავი ყვირილი:

— გვჩხვლეტავენ! გაგვიშვით, უკან დაიხიეთ.

ხალხს რალაც ყრუანტელმა გაუარა ტანში. იგი მიაწვა ალაყაფის კარებს. კარებმა ვერ დაიმაგრა; დაიჭრილა, საკეტი გატყდა და გაიღო.

ხალხი სიხარულის ყვირილით შევიარდა ვალა-
ვანში. ემიმახი ყველაზე წინ იდგა. იგი ძალზე გა-
ბრაზებული იყო, დააიწყდა გადასახადიც, მმართ-
ველიც და დაცდაზე თხოვნაც. იმას უნდოდა მხო-
ლოდ და ემტვრია, ეცემა, შეემუსრა. ის პლაიდა
როგორც ველური ნადირი.

სწორედ იმის წინ ვალავანში მშვენივრა მალა-
ლი შენობა-ადგილი, სადაც მმართველის ჰქონდა
ხოლმე რჩევა ქალაქის მოხელეებთან. განიერი დე-
რეფანი თორმეტი კიბის საფეხურით იყო დაფენი-
ლი სხვა და სხვა ფერადი მარმარილოს ფილაქანიით.
ზვეით მაიატკებულ ადგილზე გამაწყრიბულათ იდ-
გენ წვირილი ზოძებო.

პატარა ბიჭები და ახალგაზდები შემოცვი-
დნენ, გამსეს დერეფანი და ყიყინით დაიწყეს აცო-
ცება ზოძებზე.

— წაივდეთ იქით და მოუცადოთ მმართველს
— სთქვა ემიმახმა, — და ზრგენა დარბაზზე, სადაც
მმართველის რჩევა ხდებომა მოხელეებთან.

გააღეს კარები და შევიდნენ შიგნით. შენო-
ბას შიგნით ჰქონდა მედიდური და შემაგონებე-
ლი სახე. მაღალი, ორ სართულიანი დარბაზი იყო
გაგძელებული ოცდა ათ, ორმოც საყენზე. მარმა
რილოს ზოძების ორი წყებით ის იყო გაყოფილი
სამ გაგრძელბულ ნაწილად. შუა უფრო განიერი
და მაღალი იყო.

შუათანას ბოლოს იყო აწეული ნახევრათ
რგვალი ჩაღრმავებული. ამღლებულის გვერდებზე
იდგნენ მარმარილოს სკამები და საეარძელი მმართ-
ველისა, ხოლო იქით, შუაგულ ადგილს, სწორედ
შემოსავლის პირ და პირ იდგა სპილენძის გამოქ-
ნდაკებული სახე თეოდოსის ოქროს გვირგვინით
თავზე. მარცხნივ, ცოტა ქვემოთ იდგა გამოქანდა-
კებული სახე მისი საყვარლის განსვენებულის მე-
უღლისა, მშენეიერის და პატიოსანის ფლაქილასი
რომლის დაკარგვა ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა.
იმათ წინ, ფეხებთან, იდგნენ გამოქანდაკებული სა-
ხეები იმპერატორის ორი შვილისა, არკადის და
გონორისა.

ეს გამოქანდაკებული სახეები, საუცხოოდ
შესრულებულნი, წარმოადგენდნენ ცოცხალს და
გულს-მომწყვლელ ოჯახის სურათს. ამბობრებული
ხალხი ამის დანახვაზე დასცხრა. მან იგრძნო, რომ
იგი იქ შევიდა, სადაც მისი ადგილი არ იყო. იმ-

პერატორის და მისი ოჯახის დანახვამ თითქოს
გონს მოიყვანა იგი. ყვირილი დასცხრა და მოსა-
ლოდნელი იყო, რომ ხალხი უკან დაბრუნდებოდა
და მშვიდობიანად დაიშლებოდა.

მაგრამ აქ მოხდა უბრალო შემთხვევა, რომე-
ლიც ამისთანა გარემოებაში ყოველთვის საშიშია
როგორც ნახერწყალი თოფის წამლის საწყობში.
რამდენიმე პატარა ბიჭი შემოვიარდა და ხალხის წინ
გაჩერდა. ეს ბიჭები ქუჩაზედ მარჯვედ ესროდნენ
ქვებს ლობის გადაღმა საღდათებს. იქ ვერ მოას-
წრეს ყველა მოგროვილი ქვების სროლა. ორ-სამ
ბიჭს ჯიბეში ქვები დარჩენილათ. ხელშიაც თითო
ქვა ეჭირათ.

გამოცვივდნენ თავისუფალ ადგილს ბიჭები
და არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. მიხედ-
მოიხედეს, დანახეს გამოქანდაკებული სახეები და
იფიქრეს:

— ნეტავი რა იქნება, რომ ამათ ქვები დაუშ-
ნოთ? აბა მოვარტყამთ, თუ ვერა?

— ვერ მოვარტყამ.

— არა, მოვარტყამ.

ბიჭმა დაეიქნია და ესროლა ქვა. ქვა პირ-და-
პირ გულში მოხდა თეოდოსის გამოქანდაკებულ
სახეს. შიგნით ცარიელმა სპილენძმა დაიბზოილა.
გაისმა შესაბრალოსი, მკენესარი ხმა. ხალხმა გადა-
ინახარა.

— არ მოსწონს! დაიკენესა!

ამ დროს მეორე ბიჭმა ესროლა ქვა. მოხვდა
თავში. მოხმა ხელმეორედ: „უუ!“

სიცილს მოუმატეს. წინანდელმა მოხიბლვამ
გაიარა. ხალხი ერთობოდა.

— არ, ძმობილო, არ გიყვარს? აბა, ბიჭებო,
ერთი კიდევ.

ბიჭებმა ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. მის-
ცივიდნენ დიდები.

— აბა ჩვენ მოგვეციოთ. ახლა ჩვენ გაუმს-
პინძლდებით კარგათ ისპანელს.

ქვები სეტყვასავით დააყარეს. ქვებს კიდევ
მიყოლოეს, ვისაც რა მოხვდა ხელში, და ხალხი
კიყინით მისცივიდა სტატუებს.

— გადააგდეთ ეგენი ოკროს! ათრიე ქუჩაზე.

დაიწყეს თავზედ სასაცილოდ ავღება. ხალხმა
ჩამოავლო გამოქანდაკებული სახეები, აფურთხებდა
ზედ, ფეხებით სთელამდა, მოგლიჯა გვირგვინი,

შემოამტვრია ყურები, თითები, ხელები და ფეხები; მოაბა თოკი კისერზე და ღუწუა ორვეა ქუნებზე.

— განზე გზა! ისპანელი მობძანდება! ყვიროდა ხალხი და მითარევედა ქუჩების ტალახში გამოქანდაკებულის ნამტვრევებს.

მოედანზე იდგა გამოქანდაკებული ცხენი თეოლოსის მამისა. ჩამოაგდეს ისიც. დაამტვრიეს გააცოლკვეფს მხედარი ცხენისაგან და ერთად გაათრეს.

გაგრძელება იქნება.
მღვდელი ი. ლუკინაოვი.

სპარსეთის მკრონომიური და კოლიტიკური მდგომარეობა და კახასისათან დამოკიდებულება.

ორი წელიწადი შესრულდა მას აქეთ რაც სპარსეთის შახმა ნასრედინმა მოიწვია პირველად მეჯლისი და ამით სპარსეთი კონსტიტუციონურ გზაზე შეაყენა. აქედან იწყება სპარსეთის მძლავრი აღორძინება და რაც უფრო შესამჩნევია სპარსეთის მნიშვნელობა გაგრძელებულ სსსეფშაფთაჟებისათვის. ჩენი ქვეყანა წარსულში ბევრად იყო დაჩაგრული სპარსეთის მონობისაგან და 4 საუკუნის განმავლობაში მუდამ ხმალ ამოდებული ებრძოდა სპარსეთის ლაშქარს ქრისტიანობის და პოლიტიკური დამოკიდებულობის დასაცავად.

1793 წ. აღა-მხმედ-ხანმა უკანასკნელად განადგურა საქართველო და განსაკუთრებით თბილისი. ეს იყო უკანასკნელი დარბევა და მას აქეთ სხვა ბაცილები გაგიჩნდნენ. მიუხედავად მუდმივი ომისა დიდი იყო გავლენა სპარსეთისა ჩვენზე, ჩვენ ზნეზეულებზე, კანონებზე და მართვა გამგეობაზე და ეს გავლენა დღესაც დარჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში. ამ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში სპარსეთი ჩვენთვის მიყურებულნი ქვეყანა იყო და თუ ვინმეს აინტერესებდა მხოლოდ აბანოს მექისებით და „ლულა ქებათი“.

მაგრამ უეცრივ მოხდა გარდაქმნა, მეჯლისი შეიკრიბა და ყველა გაცირვებით ერთ-მანეთს ჰკითხავდა; ვერ დაეჯერებია ესეთი სასწაული. მიუხედავად იმ ინტერესისა, რომელიც ეხლა სპარსეთში გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ პრესაში არ შევხვედრივართ ისეთი შინაარსის წერილებს, რომელნიც ცოტა დაწვრილებით აცნობდნენ მკითხველს სპარსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ჩვენ განვიზრახეთ რამოდენიმე წერილით გავაცნოთ ჩვენი მკითხველი ამ საკითხს, თუმც უნდა გამოვტყდეთ, რომ მასალები სპარსეთის შესახებ ძლიერ მცირეა და დაუმუშავებელიც, მაგამ ვეცდებით რამოდენიმე მაინც დავძლიოთ ეს დაბრკოლება.

1. სპარსეთის მკრონომიური მდგომარეობა.

1) მეურნეობა.

მეურნეობით ცხოვრობს 70 % სპარსელები. მიუხედავად უწყლობისა მეურნეობა თან და თან იზრდება და კარგ მოსავალსაც იძლევა, დიდი შიმშილობა იყო სპარსეთში 1860—61 წ. 1869 წ. 1870—72 წ. 1879 წ. 1880 წ., რომელმაც 15% მცხოვრებთა იმსხვერაპლა. უწყლობის შესამცირებლად გაცვანილია ხელოვნური წყლის ბაზები, რომლითაც მთელი სოფლები სარგებლობენ; ჩრდილოეთიდან მოყოლებული თერანამდე მოსავალის დრო ივნისი და ივლისი, სამხრეთისკენ კი უკვე აპრილში იწყება.

მიწის დამუშავება სწარმოებს უძველესი იარაღებით, რომელთაც 2000 წ. წინად ხმარობდნენ და, რასაკვირველია, ასეთი იარაღით მიწის ნაყოფიერებას ვერ ასარგებლებს კაცი.

მთავარ ჰორნახულს შეადგენს ბრინჯი, რომელიც განსაკუთრებით უხვად მოდის მაზანდრანის და გილანის პროვინციებში, ისინი მდებარეობენ კასპის ზღვის პირად და უნაყოფიერესათ ითვლებიან, ვგრეთვე უხვად მოდის ბრინჯი სამხრეთ სპარსეთის პროვინცია ფარსში, ამას გარდა სპარსეთში უხვად მოდის ბოსტნის მწვანილეულობა და ხილი.



დიდი მნიშვნელობა აქვს თამბაქოს გაშენებას განსაკუთრებით ქ. რეშტან კასპის ზღვის პირას და სამხრეთ სპარსეთში ქ. შირაზთან და ლურისთან. ამ დაბოლო წლებში ძლიერ ბევრი თამბაქო არის ქ. თავრიზის ახლო გაშენებული. სამხრეთ სპარსეთში გაშენებულია ზიჯილი და ზაფრანა და უხვდაც მოდის. შაქრის ლერწამი გაშენებულია მაზანდერანში, მაგრამ შაქრის მომზადება ძლიერ ცუდათ არის დაყენებული. დიდი მნიშვნელობა აქვს ბამბის მოყვანას, რომელიც ყოველ წლობით იზრდება და დიდ მოსავალს იძლევა, გაშენებულია თითქმის მთელ სპარსეთში, მაგრა განსაკუთრებით მაზანდერანის პროვინციებში. ვგრეთვე აშენებენ ზეთის ხილას ხეს, რომელის ზეთსაც გასანათებლად და საეკი ოდ ხმარობენ. საერთოდ სპარსეთში ძლიერ გავრცელებულია საქვამო მგენარუფლასა და ბევრი საზღვარ გარეთაც გააქვთ, მრავლად მოდის ვგრეთვე საღებავი მცენარეები, განსაკუთრებით თავრიზის ახლო.

შეგნასეჭობს და შეფინებს ძლიერ გავრცელებულია და ყველაზე ნაქები ღვინო ქ. შირაზის ახლო მოდის, ამას გარდა ყურძნის ტყენებს აქნობენ და ისე სქამენ. გაშენებულია ვგრეთვე ფორთოხალი, ტუბილი ლიმონი, ლეღვი და ქიშმიში, რასაც თითქმის ყოველ საქმელში ხმარობენ.

ხეხილის გარდა გავრცელებულია ყვავილებას გაშენება, რომლიდანაც სურნელოვან სითხეს ამზადებენ, საუკეთესო ვარდი შირაზის არის. აღსანიშნავია აგრეთვე ხე-ტყის მასალა, განსაკუთრებით ნიგვზის და მუხის, რომელიც საზღვარ გარეთ გააქვთ ქ. ენზელის ნავთ სადგურიდან.

საქანდის მოშენებით ირჩენს თავს 30 % მცხოვრებლებსა. აშენებენ განსაკუთრებით ცხენებს და აქლემებს, საუკეთესოა ჯიშის ცხენი თურქმენულია. ცხენს გარდა ძლიერ სასარგებლოა აქლემი, რადგან დიდი ტვირთის აწევა შეუძლია და უდაბნოში სამოგზაფიროთ გამოხადდება. ცხვრის მოშენებას დიდი ადგილი უჭირავს და ცხვრის ხორცი საქმლად გავრცელებულია, მაგრამ უფიციობის გამო ბევრი იღუპება. მოსახსენებელია ვგრეთვე შტრუტაფების გაშენება, რომელთა ნაკელითაც ნესვების ბაღებს ანაკლებენ, გავრცელებულია შეოტრეჭობა და ბევრ თაფლსაც იძლევა.

მეთუგეჭობასაც დიდი ადგილი უჭირავს, განსაკუთრებით სამხრეთ სპარსეთის ზღვის პირას. შეგანრეშუმეჭობას დიდი ადგილი უჭირავს შემდეგ პროვინციებში: მეზენდერანში, ირაქში, ქერმანში ხორასანში და გალანში; ძლიერ ბევრი პარკი გააქვთ სამძღვარ გარეთ. (რუსეთში).

2) მადნეულობა.

მადნეულობიდან სპარსეთში მოიპოვება: სზი-ლეხი, ქვა ნახშირი, ტყვია, რკინა და ნავთი.

ქვა ნახშირის დამუშავებას უკვე 1889 წ. შეუდგენ ინგლისელები, მაგრამ აქამდე დიდი არა შეუძენიათ. სპილენძის მალაროებს ამუშავებენ რუსები აზერბეიჯანში კარაღალის უბანში, სპილენძი მოიძიებენ ვგრეთვე ხორასანში და სამხრეთ სპარსეთში.

რკინა მოიპოვება კასპის ზღვის ახლო მაზანდერანში და თეირანთან. ტყვია მოიპოვება ხორასანში, სადაც 7 მლაროს ამუშავებენ.

ნავთის წყარობა მოიპოვება სამხრეთ სპარსეთის ზღვის პირად, კასპის ზღვის პირად მაზანდერანში, მაგრამ აქამდე ძლიერ ცოტა არის ამორწყული. 1902 წ. ინგლისის საეაქრო კომპანია შეუდგა ნავთის ამორწყვას და შეაძლებელია საქმე მომავალში გაიზარდოს.

3) მკაწველობა.

როდესაც მრეწველობაზე ვლაპარაკობთ სახეში გვაქვს საეაჯრო და წგრალი მრეწველობა, რადგან ქარხნებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. მიუხედავით ამისა სპარსელებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს ხელოსნობაში მაგ. მღებრობაში. ქსოვაში, განსაკუთრებით ამრეშუმის და შალის რთვაში და ოქრო-ვერცხლის დამუშავებაში.

ამრეშუმის ნაქსოვი მაგარია და ლამაზად შელებილი მიუხედავით იმისა, რომ სპარსელებმა ქიმიში ბევრი არა იციან რა. ყველასათვის ცნობილია ვგრეთვე სპარსული ხალიჩები, რომელთა ქსოვაში განსაკუთრებით ქალებმა გამოიჩინეს უნა-

რი. დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრეთვე ტყავეულობის დამუშავებას და ფეტოსაცმელის წერვას.

საომარი იარაღის მქედლევი აშხადებენ კარგი ღირსების იარაღს, რომელსაც ოსმალეთისას ამჯობინებენ. ოქრომქედლები საუცხოვო ჩუქურთმით ამკობენ ნივთებს და თიხის ჭურჭელის მომზადებაც შესაძლებელია.

განსაკუთრებით შესანიშნავია სხვა და სხვა სურნელებათა მომზადება მაგ. ვარდის წყლის (გულაბი). შირაზის ახლო სპეციალურ ქარხანაში 20000 ცალს ვარდისაგან ხდიან, ეს მრეწველობა იმდენათ მომგებიანია, რომ მთელი მინდვრები ვარდის ბუჩქებით არის მოფენილი.

რასაკვირველია მრეწველობაში ხმარობენ უბრალო იარაღებს და მანქანები ძლიერ იშვიათად მოიპოვება. ხელოსნები ამქრებათ არიან დაყოფილი, რაიცა ჩვენ ქვეყანაშიდაც არის გავრცელებული, მაგრამ თან და თან ქრება.

4) შაჰრობა და საშახრო გზები.

ძველი დროიდან სპარსეთი განთქმული იყო თავისი ვაჭრობით განსაკუთრებით ინდოეთთან. ვაჭართა წოდება თავიდანვე დიდ ძალას წარმოადგენდა, რასაც ხელს უწყობდა გეოგრაფიული მდგომარეობა და სარწმუნოება. დიდებული წინასწარმეტყველი მაჰმადი ვაჭარი იყო. ამიტომ ეს წოდება პატივცემულათ ითვლებოდა და აქამდე ითვლება, რასაც მოწმობს ის, რომ მრავალი სასულიერო პირი ეწევა ვაჭრობას.

ამ ეჟამდ ვაჭრობა ვერ არის ისე განვითარებული, როგორც უნდა იყოს, რადგან ამას ხელს უშლის უგზობა და ხალხის სიღარიბე. მთავარი სავაჭრო გზები შემდეგია: 1)ჯულფა — ხოი — თაირიზი (200000 მცხოვრები), 2) ენზლი — ქეზონი — თეირანი (280000 მცხოვრები). 3) ასხაბად — ქულშან — მეშედ (60000 მცხოვრები). 4) მოპმერ — ისპაჰნი (სამხრეთ სპარსეთი) ჰამადან; ვაჭრობა ოსმალეთთან სწარმოებს ერზერუმზე და ბაღდადზე. რადგან გზები უყურადღებოდ არის დატოვებული, ამიტომ მიმოსვლა ძლიერ ძნელია, ამასთანავე სახეში უნდა მივიღოთ რომ მიმოსვლა

სწარმოებს ვირებით და აქლემებით, რაიცა ძლიერ დიდ ხანს გრძელდება და ამიტომ საქონლის გადატანად გამოტანას აძვირებს; კასპის ზღვაზე გემებით გადატანა საქონლის ძლიერ ძვირი ჯდება. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა ვაჭრობას დიდი მომავალი აქვს.

სპარსეთიდან გადას უმეტესად შემდეგი საქონელი: თუთუნი, ბამბა, აბრეშუმი, ხე-ტყე, საქმელი ხილი, ვარდის წყალი, ღვინო, საკვავი საქონელი, ცხენები, ტყავი, ერბო, ყველი და მატყლი სპარსეთში შემოდის: შაქარი, ნავთი, ფართლეთულობა, საოჯახო ჭურჭელი, ჩაი, ქალაღი, ყავა, ფოლადი და სხვ.

ვაჭრობა სწარმოებს: რუსეთთან, ინგლისთან, ბუხარასთან, ინდოეთთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, ოსმალეთთან და ავსტრო-უნგრეთთან. სპარსეთიდან გაიტანეს 1994 წელს 249 მაღლიონი კრანის (კრანი - 40 კაპ.) საქონელი. ხმელი ხილი 40 მილიონი კრანის, თევზი 36 მილ. კრან., თუთუნი 29 მილ. კრან., ხალიჩები 29 მილ., აბრეშუმის პარკი 14 მილ. კრან., ბრინჯი 13 მილ. კრან., სპარსეთში მოიტანეს: 349 მილ. კრან. საქონელი, ფართლეთულობა 125 მილ. კრან., შაქარი 76 მილ. კრან. შალეთულობა 15 მილ. კრანის

ამ საქონლიდან 53 % შემოტანად იქმნა რუსეთიდან, 25 % ინგლისიდან, 8 % ოსმალეთიდან, 5 % საფრანგეთიდან და 12 % გერმანიიდან. არსებობს ეგრეთვე ტელეგრაფი რუსეთიდან და ინგლისიდან ინდოეთამდე, ეგრეთვე სტამბოლიდან ბენდერ აბასამდე.

მთავარი სავაჭრო ქადაქები შემდეგია: თაირიზი, ქერმანში, მეშედი, ჰამადანი, კაშანი, ისპაჰანი, შირაზი და ნიშფურთი. ნავთსადგურები სამხრეთ სპარსეთის ზღვის პირას: ბუშური, ბენდერ-ამასი და მაჰმედი, კასპის ზღვის პირას ასტარა და ენზელი.

ვაჭრები უმეტეს ნაწილად წმინდა სპარსეთშია, მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში შეხვდებიან: სომხებს, ურიებს და ქართველებს. ეს უკანასკნელნი დიდ ვაჭრებათ ითვლებიან და მთელ სპარსეთში აქეთ მისვლა მოსვლა, მათი წინაპარნი საქართველოდან იქმნენ გადასახლებულნი და გამაჰმადანებულინი შაჰნაზასგან. მათ აქამდე დაიწყეს სამშობლო ენა და ზნე ჩვეულება.

შასსკეთას ფული, წონა და ზომა შემდეგაა:

თუმანა, რომელიც წინაღ ოქროდან იქმდე
ბოლა და უდრის მ მ. 50 კ. წინაღ ყოველ ქა-
ლაქს თითქმის თავის ფული ქონდა. 1879 წ. კი
საქმე ვაწესრიგდა და მთელი სპარსეთისათვის სა-
ერთო ფული დამტკიცდა, მაგრამ მიინც ნაკლები
აქვს, რადგან დაბალი ღირსების არის. მთავარი
წონი ბათმანია და თითქმის ყოველ სავაჭრო ქალქ-
ში ხხვა და სხვაა. საზომი ღარი და არშინაა, გზის
ზომა ფარსხანგა და უდრის თითქმის 7 ვერსს.

სპარსეთის ყოველ დიდ ქალაქში მოწყობი-
ლია გადახურული ბაზრები ანუ ქარვასლები, სადაც
სწარმოებს მთელი ვაჭრობა, აქვე მრავლად არიან
დალალები („დევალა“), რომელნიც შუამავლობას
უწევენ. დალალებათ უმეტეს ნიწილად ურიები
და ამიტომაც სპარსელებს ეჯავრებათ.

აქვე საჭიროდ ვთვლით ვრცლად მოვიხსენი-
ოთ ქ. თავრანსა, რომელიც დღეს სპარსეთის გან-
მათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრათ გარდაიქ-
და და რომელშიდაც ჩრდილოეთ სპარსეთის სავაჭ-
რო ძარღვები ერთად არის გამოსკენილი.

ქ. თავრიზი წინაღ სატახტოდ ქალაქი იყო
და არის ცენტრი ადერბეიჯანისა. ისტორია გვაძე-
ნებს ვითომ თავრიზი იყოს აშენებული შაჰი-ხოს-
როსაგან. ცნობილია ფრანგმა მოგზაურმა 1607 წ.
თავრიზში 250 მეჩეთი ნახა, რომელთაგან ამ ყა-
მად მხოლოდ სამის ნანგრევები დაა დაჩინილი-
ვარდნის დროს 550 მცხოვრები იყო. თავრიზი
რამოდენიმეჯერ დანგრეულ იქნა მიწის ძვრისაგან,
დღევანდელი თავრიზი აღდგენილია აბას შირვასა-
გან. ქალაქი შემორტყმულია გალაგით, რომელიც
8 ვერსს უდრის, ირგვლივ ქალაქს ალაყაფის კა-
რებები აქვს და სიმშვენიერით და წეს-რიგით
თიერანის შემდეგ უპირველესია მთელ სპარსეთში,

იდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ქ. შე-
შეს. იგი შემორტყმულია 16 ვარსიან გალაგით
და 60000 მცხ. ძლიერ ბევრია უტხოვლი ვაჭრები,
რომელნიც აქ მოდიან და მლოცველები, რადგან
მეშედი ცენტრია სპარსელთა წმინდანების. ქ. მე-
შედში 3000 სასულიერო სემანარის მოსწავლეა
და მოღობი. მეშედი ლიტერატურული ცენტრია
და ლიტერატურის წარმომადგენელი სამღვდლოე-

ბაა, რომელიც მოწაფეებითურთ მეჯლისის გულა-
და დამცველია და დღევანდელ რევოლუციას
წინამძღოლობს. სავაჭრო ქარავნები შემოდიან;
ბუხარადან და ხივიდან, ჰერატიდან (ავგანისტანი)
ქერმანიდან და ისპაჰანიდან. საომარი იარაღების მკე-
დლები (ჩვენში რომ „ხორასნის რეანს“ უწონ-
ებენ) განთქმული არიან და მათი წინაპარნი თე-
მურ ლენგმა ოსმალეთიდან გადმოასახლა. მეშედში
დასაფლავებულია სპარსეთის წმინდანი ალი, რო-
მლის თაყვანის საციმლად სპარსეთის ყოველ კუთ-
ხიდან ყოველ წლიურად ბევრი მლოცველი მო-
დის.

(გაგრძელება იქნება). **ლ. ლ.**

ექვანდელი 1909 წ.

მწერა შიკაპი

* * * საეკლავით დასჯილნი. გაზეთებში ცნობე-
ბი არა ყოფილა იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი
ჩამოახრჩეს ნოვოჩერკასკში. ადგილობრივ გაზეთებს
აღკრძალული ჰქონდა ამის შესახებ ცნობები დაგებუ-
დათ. „რეს“ ცნობები შეუტყრება და აღმოჩენილა,
რომ წარსულწელს ნოვოჩერკასკში 37 კაცი ჩამოუხ-
რჩვით. საინტერესოა თუ როგორ ახრჩობდნენ. სი-
კვდილ გადაწყვეტილებს ქალაქის ვარვ, შუალამის
2-3 საათზე ახრჩობდნენ და ისიც ხუთ-ექვსერთად.
საფლავებს მათ თვალწინ სთხრიდნენ. გადაწყვეტი-
ლებს ჯალათი დედამიწაზე უტერდა თოკს ყელში ზე
მერზე მუშები, როგოც ყსაპი საქონელს, სახრჩო-
ბელაზე ჰკიდებდნენ. ერთ რომ ჩამოახრჩობდენ, ახ-
ლა შემდგეს მიმართავდნენ: ვის გინდათ პირველად,
ვისი ჯგრია? და თან იცინოდნენ. დახრჩობილს
უმაღვე დასჯისა ხდიდნენ ყველაფერს და ტიტ-
ვლობა მარხავდნენ იქვე გათხრილ ორმოში. დახრ-
ჩობილის გვაშე'ს კი არ ხსნიდნენ სახრჩობელადან
პირდაპირ სჭრიდნენ თოკს ხმლით და დახრჩობილი
ორმოში თუ არ ვარდებოდა, ფეხის კვრით ავდებ-
დნენ შიგ და მერზე მიწას აყრიდნენ. ჯალათი თი-
თეულ დასჯაში 100 მანეთს იღებდა. მას სულ
3700 მანეთი აუღია წელიწადში. ამრიგად ჯალა-



თობა რუსეთში ერთ შემოსავლიან ადგილად უნდა ჩაითვალოს...

* *

დიდი გასაკვირალი არ არის რომ რუსეთში ცოცხალთა და გარდაცვალებულთა გვაუმებს ცუდათ ეპყრობიან. იპონიამ ცოტა აწწავლა, თუ როგორ უნდა მოეპყრონ გარდაცვალებულების გვაუმებს, მაგრამ ყველას დააიწყედთ მალე. როცა იაპონიასთან ჩხუბი ასტყდა იწერებოდნენ: „კოიურის სამხედვარზე ჩავესაფრეთ იაპონიის ჯარსა და როცა მდინარეზე გადმოვიდენ დაუშინეთ თოფები, დავხოცეთ დაპტრილები ზოგი წყალში ჩაეხარჩეთ და ზოგი ავკეპეთ და წყალს გაეტანეთ.“ ამის შემდეგ მოვიდა იაპონიიდან ვაზეუენით ცნობა, იაპონელებმა მკვდარი რუსის სალდათების გვაუმები დიდის პატვიით დამარხეს. მართლაც ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ მაინც პატივის ღირსნი იყვნენ როგორც მამულისთინ მებრძოლნი და მღვდლების წინ გაძლიერდნენ დამარხეს. დაპტრილებს ექიმები დააყენეს და მშვენიერად უვლიანო. ამის წაკითხვაზე შემრცხვა და გსტყვი გულში: განა ჩვენ ქრისტიანები ვართ? არა, ჩვენ ჯერეთ ველურები ვართ. და როდის მოვსწრებით, რომ ქრისტს მტენბა შევიგნოთ და შევიყვაროთ ყველანი როგორც ჩვენი თავი?... დასჯეთ დასაჯეთ, მაგრამ მშვეტურად მოპყრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს...

* *

ეულშემზარაგე აზბაგი. რუსეთის ვაზთებში შემდეგ გულშემზარაგე აზბაგს ვადმოგვეცემენ: სოფტულუნის საავადმყოფოში მისულა გლეხის ქალი გრიშენკო, რომელიც ფეხმძიმედ ყოფილა. მას ნდომებია საავადმყოფოში მოვლოგინებინა. ექიმ ბატურინს გაუხინჯავს გრიშენკო და უთქვამს, რომ მშობიარობა ერთი თვის შემდეგ დაიწყებოდა წასულა-ექიმის საავადმყოფოში არ ყოფნის დროს გრიშენკოს გული წასვლია და განება დაუკარგავს, საავადმყოფოს მოსამსახურეები იმ წამსვე ექიმ ბატურინთან დაეკეტულან და უთქვამთ, რომ გრიშენკო გარდაიცვალა. ექიმს აზბაგე უპასუხნია: „მერე რა ვუყოთ, შე რაღას მაწუხებთ, წაიღეთ გარდაცვალებულების ოთახში“. გრიშენკოს „გაიმი“ მოსამსახურეებს გარდაცვალებულების ოთახში მოუთავსებიათ. დილით მისულა გრიშენკოს ქმარი, რომ სხლში წაესვენებინა თავის მეუღლეს. ქმარი გარდაცვალებულების ოთახში წაუყვანიათ. აქ მას გულშემზარაგი სურათი უნახავს: ოთახის კუთხეში, მთლად სისხლში მოსვრილი, თითებ დაკენტილი, იჯდა მისი ცოლი და მკერდზე

პატარა ბავშვი ჰყევანა მიყრდნობილი. როგორც ბავშვი, ისე დედა გაყინულიყვნენ. აშკარაა, რომ გრიშენკოს უძებნია და როდესაც გონებაზე მოსულა, გზუგია სიდაც ყოფილა და კარში გასვლა მოუნდომებია, მაგრამ კარზე დაკეტული დახვედრია. მაშინ მას ფანჯარა გაუტეხია, მაგრამ აქაც დაბრკოლება დახვედრია, ვარედან ფანჯარა რკინებით ყუფილა გამაგრებული. მაშინ საბაროო ქალი დამორჩილებია ბედს, გულზე მიუტყავს შვილი და გაყინულია. არც მისი, არც ახლად დაბადებულის ყვირილი საავადმყოფოში არ გაუფრიალა...

დიად, არც ერთ წოდებში არ არის იმდენი შურატანი რამდენიც არის ექიმების წოდებაში. არსად არ შეუძლია კაცმა დაფაროს თავისი უფიქობა ისე როგორც ექიმთა წოდებაში. მაგრამ თავის უფიქობას ესტატურად ფარავენ. ექიმი ზნორად მშვენიერად ატყობს, რომ მისმა აზნანაგმა თავისი გაუგებრობით გაისტუმრა ავითმყოფი სიქიოს, მაგრამ ამისი თქმა არ შეუძლია. და კიდევ რომ შვიტყვის აღარავინ ისურვებს მკვდარი კაცი დასკრან და ნაწლევები გადაადნონ და დასწვან.

ერთი ექიმი ბრძანდებოდა შორაანის მარზში, გვართ ბერნო, ნახსენით მკვდარი ქალი საეკლესიო სენაკში. მიწიყვის ეს მარზის ექიმი და გამოძიებელი, რომ აღმოჩინათ მიზეზი ქალის სიკვდილისა. ექიმმა შეამოწმა მკვდარი ქალი და ნახა იგი ორი თვის ფეხმძიმეთ და, მისი აზრით, უნდა მომკვდარიყოს მოწამულით, მაგრამ, როგორ მოიწამლა ვერ გაიგეს. ჩვენ კი ვიცოდით კერძოთ, რომ ის ქალი კარგა ხნის ორსული იყო, დალია რაღაც წამალი უღროვდროს ბავშვის საყოლებელი. ბავშვიც დაიბადა, მაგრამ თვითნაც ეს ქალი გადაჰყვა. ბოლოს მკვდარი ბავშვიც აღმოაჩინეს მარზულში. ექიმი კი მაინც თავისას ამბობდა, ორი თვის ორსული იყოთა? რა უნდა ვსტყვათ ამისთანა ექიმზე. რაღა საუბედურად, მე ვიცოდებო, ეს აზბაგი ვაცნობ საზოგადოებას გაუთით. გამოიძიეს საქმე და ექიმი დათხოვნის თანამდებობიდან. მაგრამ რა გამოვიდა? უარესი უტოლინარი მოვიდა.

ექიმი რომ კარტის თამაშს გაეჩვევა და ორბების გატარებას, სამეცნიერო წიგნებს ხელს არ მოკიდებს იმას ავითმყოფობის დროს უნდა გაზორდდ, თორემ კი არ უნდა მოიწოდო. რა უნდა სტყვას კაცმა იმ ექიმზე, რომელიც საათის განმავლობაში, ას ავითმყოფს სინჯავს და ყოველ გვარ ავადმყოფს ოლებს? წარმოიდგინეთ ჩვენში ამისთანა ექიმები უფრო პატივემუნი არიან?!

* *

როგორც გამოსცადებულა რუსეთმა ჯარება კაცხავს სხარსეთში. დიდი ხანა რაც რუსეთი მკაც-



დინობდა, რომ კონსტანტინეპოლი დაეჭირა და ხმელთა შუა ზღვაში თავისუფლად გასულიყო. ამ მიზნით მრავალ ჯერ ჩხუბი ამტყდარა ხოლომე სათათრეთთან, ვითომ სლავიანების განთავსუფლები-სათვის. რამდენი ხალხია გაწყვეტილი ბოლღარეთში ციხეების ასაღებად, რამდენი მილიარდები დახარჯულა ვინ მოსთვლის, მაგრამ არ მოხერხდა კონსტანტინეპოლის აღება. ყირიმის ომის დროს ოთხი წლის განმომავლობაში ექვსასი ათასი კაცი დაიღუპა ჩხუბში, შიმშილით, ქირით და სიცივით, მაგრამ კონსტანტინეპოლი კი არა დიდი კონტრიბუცია წაიღეს და შავ ზღვაზე რაც ციხეები იყო ისიც დააქცივეს და ფლოტიც გაანადგურეს სევასტოპოლში. ბოლოს მიაშურეს აღმოსავლეთისაკენ და იქილამ სურდათ მწყნარ ოკეანეში გასვლა და პორტ-არტურში, გამაგრება მაგრამ იპონენლებმა იუკადრისეს და გადმოგვრეკეს, ასე რომ იქით, მე ვგონებ, აღარავინ იფიქრებს წასვლას ჭეკორეის დაპატრონებას... ეხლა ინგლისის წყალობით სპარსეთისკენ აპირებენ გასვლას მწყნარ ოკეანისკენ. რუსეთმა თავი გამოიღვა თავრიზში მყოფ უცხოეთის ელჩებისა და ზოგიერთ უცხოეთის და რუსეთის ქვეშევრდომთათვის დასაცველად. ჯარი გაგზავნა სპარსეთში და ქვეყანას შებტყოზინა, რომ როცა სპარსეთში წესიერება აღდგინდება ჯარს. უკან დაებრუნებო, მაგრამ ნეტავი როდის დაიწყება სპარსეთში წესიერი ცხოვრება? განა ჩვენში დღეს წესიერი ცხოვრება სუფევს?... ალბათ არ იციან პეტერბურღში თუ რა ხდება პროვინციებში...

როგორც გავს რუსეთი ადებრბეიანს დაიქვრს სამუდამოთ და ბოლოს მწყნარ ოკეანეშიაც გავა და ეს გზა უფრო მოკლე იქნება მწყნარ ოკეანეში გასასვლელად ვინემ კონსტანტინეპოლით და პორტარტურით...

ინგლისი უფრო კარგ ადგილს ჩაიგდებს ხელში სპარსეთისას აღმოსავლეთის მხრით. სპარსეთი კი უნდა გამოეთხოვოს თავის ძველებურ დიდებულ ცხოვრებას.

დამტკიცებულა, რომ ყოველი სახელმწიფო 1800 წლის შემდეგ იშლება და ქრება და სპარსეთსაც ვგონებ შეუძრულად 1800 წელიწადი. სანამ ძლიერი იყო ჩვენ ქართველებს არ მოგვასვენა და ეხლა ჩვენი სამაგიერო განსაცდელი თვითონ

მიიღვა. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი აზრის არ შეაწყვე უსამართლობას. ეშმაკი შეუჯდა საწყალ სპარსელებს და ატრუენენ!..

* *

სულთანნი ჩამოაგდეს ტახტიდან. ახალგაზდათათრების კომიტეტმა გაიმარჯვა. სწორეთ სულთანზე ითქმის; „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა ჰყო. ზაძვიდა იგი პირუტყვისა უდნურსა და მიემსგავსნა მათ!“ სულთანი ძველ სასახლეში გადაუყვანიათ, აქ ალბათ ან თავს მოკლავს და ან გაიჟებდა...

სოფლის ხუცისა.

უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

ახალგაზდა ოსმალეებმა დაატუსაღეს ბევრი ხოჯა, (მოლა) რომლებსაც დიდი ფული მიეტანათ ჩატალჯუში ჯარისკაცების შესასყიდათ.

ათი სოფტი (სასულიერო სასწავლებლის მოწაფე), აფიკრის ტანისამოსში მივიდა და დაუწყეს ქაღაგება ჯარისკაცებს, სულთანს არ უღალიტოთო. ჯარისკაცებმა დაიბრეს სოფტები და ყველანი დახოცეს.

სოფტები ბეჯით აგიტაციას ეწვიან ანატოლიაში (მცირე აზიაში). ამბობენ, ვითომ ანატოლიის ჯარი და ხალხი სულთანის მხარეს არიანო.

სუსუარი ენგერ-ბეისთან.

ოსმალეთის რევოლიუციის გმირს ენგერ-ბეის კონტრ-რევოლიუციის დღეებში უთქვამს „რუსსლოცა“-ს კორესპონდენტისთვის:

„ჩვენ კომიტეტს და ახარების კავშირს პარტიული უთანხმოება ჰქონდათ. ახარების კავშირი უმთავრესად შესდგება სომეხთა, ბერძენთა და ალბანელთაგან და თხოულობს ავტონომიებს პროვინციებისთვის. ჩვენ, ახალგაზდა ოსმალნი კი, ცენტრალიზაციის მომხრეები ვართ. ჩვენის ღრმა რწმენით ავტონომია დაშლის, დაარღვევს ოსმალეთის იმპერიას. ცხადია, რომ რაკი ასეთი განსხვავება იყო პროგრამაში, დაუყოვნებლივ შეთანხმება შეუძლებელია იყო. ხოლო ლიბერალთა (ახარების)

კავშირმა, იმის მაგივრად რომ რაიმე შეთანხმება მოეხერხებინა კომიტეტთან, ალერსი დაუწყა რეაქციას. იქნება ეს ტაქტიკური ხერხი იყო ახალგაზრდა ოსმალთა შესაშინებლად, მაგრამ მინც ამ გარემოებამ საბედისწერო მნიშვნელობა იქონია. რეაქცია, რომელიც შემთხვევას ეძებდა ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის დასამზობად, ორსავ ხელით ჩაებლაუჯა ახარაგების წინადადებას და ყოველნაირ დახმარებას დაჰპირდა მათ ჩვენთან ბრძოლით გატაცებულთ, ლიბერალებმა ვერ დაინახეს, რომ მათ ზურგს უკან რეაქცია თავს უყრიდა ყველა ბნელ და ფანტიკურს ძალას, ყველას, ვინც უკმაყოფილო იყო კონსტიტუციით. ხოჯები სამსახურიდან დათხოვნილი მოხელეები, ჯარიდან გარეკილი აფიცრები შეეკრიბნენ რეაქციის გარშემო; ყველა მათგანი ირქმევდა ახარაგებისა, ავტონომისტებისა და პან-თურქების სახელს, ნამდვილად კი ესენი იყვნენ საშიში რეაქციონერები. ჩვენ ყველა ამას ვხედავდით, ვწინასწარმეტყველებდით უმეტესრებას, ვფიქრობდით ახარაგებს, მაგრამ მათ ყურად არ გვათხოვეს. მათი ლოზუნგი იყო; „ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი უნდა დავსცეთ“. ესლა მიეწივნენ კიდევ თავიანთ გულის საწადელს, მაგრამ რა მოიგეს? რამდენი მსხვერპლი უნდა შეიწიროს, რომ ხელახლა აღვადგინოთ მშვიდობიანობა. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთის წვალებით მოპოვებულ კონსტიტუციას ჩვენ ნებაყოფლობით არ დაუთმოთ მტრებს, გინდაც რომ იმის გულისთვის ზღვა სისხლის დაღვრა დაგვიკრდეს. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაფიქრებს — უსოფიის სახელმწიფოები და მეტადრე ბოლგარია როგორ მოიქცევიან.

* * სულთანმა დიდძალი ფული, საჩუქარი და ჯილდო დაურიგა თავის ერთგულ ჯარს. ყველა უბრალო ჯარის-კაცი და უნტერ-აფიცერი თავისუფლად მიდის ილიდი-ლიდოსკაში სულთანის სანახავად. სულთანს დიდი ყურადღებითა და პატივით მიიღებს ხოლმე მათ: აბდულ-ჰამიდიმ მრავალ უბრალო ჯარის-კაცს აფიცრის ჩინი უბოძა; ახალგაზრდა ოსმალთა მომხრე აფიცერი ერთი აღარ დატოვა სტამბოლის ჯარში.

სულთანმა თავის იახტით (გემით) დაიარა სამხედრო გემების ესკადრა და მოსთხოვა მებრძოლებს

მისი მხარე დაიჭირონ. სულთანს ყოველ ღონისძიებას იღებს თავის ტახტის დასაცველად.

სულთანმა სთხოვა ინგლისის და საფრანგეთის ელჩებს, დახმარება გაემწიეთ, რომ გვირგვინი და ტახტი შემრჩესო, ელჩებმა უარი უთხრეს: ოსმალეთის შინაგან საქმეებში არ გავერევიოთ.

დიპლომატების უმეტესობა სტამბოლში დაარწმუნებულა, რომ სულთანს უთუოდ ან ტახტიდან გადააყენებენ, ან და სიკვდილით დასჯიანო.

სულთანს იარწმუნებს ყველას ვითომ თითონის სრულებით არ გარეულებოც კონტრ-რევოლუციის ში.

სულთანის ბრძანებით, ილიდი-კაოსკის წინ დადგეს ერთი ბატარეა — ზარბაზანი ერთგულ არტილერიისტებით.

სულთანმა ჯავშნიან გემებს, რომლებიც მის სასახლის პირდაპირ დგანან, ბრძანება გაუგზავნა დაბეჭდილ კონვერტით.

სულთანის გვარეულობის პრინციები ილიდი-კაოსკიდან სასახლიდან სხვა ადგილებში გადასახლდნენ.

* * კომიტეტის ჯარის გამარჯვება, ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის ჯარს ოხრიდას (მაკედონიაში) შეტაკება მოუვიდა სულთანის მომხრეებთან. კომიტეტის ჯარმა მთლად გაანადგურა რეაქციონერები

ქალ. ადანა, სადაც კონტრ-რევოლუციის მომხდენის უმაღლესი დაუწყეს აკლება სომხებს, საკმაოდ დიდი ჭაღაქია 60 ათას მცხოვრებით, მდებარეობს მცირე აზიის სამხრეთ აღმოსავლეთ მხარეს, შვერთებულა რკინის გზით მერსინასთან, რომელიც ხმელთა შუა ზღვის ნაპირას მდებარეობს კუნძულ კიპროსის პირდაპირ, 30-მდე ვერსის მანძილზე ადანიდან. ადანში სცხოვრობენ ოსმალები, სომხები, ბენძნები, სირიელები დაურები. ოსმალელ შავრამელებს ისევე უყვართ სომხების აკლება, როგორც რუსის შავრამელებს ურიებისა-სომხების ასაკლებად შავრამელები წაუქეზებია რეაქციონურ ოსმალელ სამღვდლოებს.

ასალი ამბები და შენიშვნები.

* * გამგებანი მოქალაქე. ამ რამდენიმე ხნის წინეთ ჩერნომორსკი გუბერნიის გუბერნატორმა ტუაშვამამ განდევნა უურნალ „სამოპოპოზის“ კორესპონდენტი მიხელსონი (იაკი). მიხელსონს გუბერნატორისთვის შემდეგი წერილი გაუგზავნია: „თქვენ აღმატებულებას შემდეგს უცხადებ: მე არაფერი არა ვარ დამნაშავე. თუ ჩემი წერილის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში თქვენ არ შემატყობინეთ, რაში მდებთ ბრალს, მე იძულებული ვიქნები ვიფიქროთ ხელმწიფე-იმპერატორთან, რადგან თქვენ მე უმიზეზოდ მსდევნით და ბოროტად ინხართ უმაღლესად მონიჭებულ უფლებას. თუ თქვენ არ შემატყობინეთ, რათ გამაძვევო ტუაშვამადან; იძულებული ვიქნები ვიფიქრო, მე მარტო იმიტომ მსდევნით, რომ სხვა და სხვა დროს წერილები დავსტამებ „პეტერ. ვედ.“, „ბატუმი, გოლ.“, „ჩერნომორ. პოეტერე.“, „სამოპოპოზში“, სადაც მოვიხსენიებ ყველა თქვენს ბოროტმოქმედებას და საბუკილო, რომლებიც ეწინააღმდეგებიან და ეწინააღმდეგებოდნენ იმპერიის ინტერესებს და მცხოვრებლების უფლებებს, პატიოსნების წინააღმდეგ იყვნენ და არიან მიმართულნი... თქვენო აღმატებულებავ, თუ დამნაშავე ვარ, სამართალში მიმეციოთ მაგრამ თქვენ კარვად იცით, რომ უღანაშაულო ვარ, ამიტომ გირჩევთ მოიგონოთ, რომ გუბერნატორებიც კანონს ემორჩილებიან და მათთვისაც არსებობს სასამართლო. მიხელსონი.

* * ახალი მინისტრი. რუსეთის ვაზეთები იტყობინებიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად სენატორი შტიურბერი დაინიშნებაო.

* * ზეტერბურგი. რუსეთის მთავრობამ სახელმწიფოებს შემდეგი ცირკულარული დებემა დაუგზავნა: „ადრეზედ ჩინის უფროსი კონსულისაგან ცნობა მოუვიდა, რომ თავრიზში მომხდლია და რუსეთის და უცხოეთის კონსულები და ქვეშევრდომები საშიშ მდგომარეობაში არიანო. მით, ერთის მხრით, რველიუციონერებისა გმინიანთ, მეორეს მხრით, დამშუღლ ბრბოსი, რომელიც უკიდურეს გაკვირვებამდე მისული ამიტომ რუსეთის რწმუნებულს დავალებული ჰქონდა ყველაფერი ეს შაჰისთვის ეცნობებინა და მოეთხოვნა, თუ თავრიზის უცხოელი ქვეშევრდომნი უზრუნველყოფილნი არ იქნებიან და მათთვის და მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის თავრიზში სურსათი არ იქნება მი-

ტანილი, რუსეთის მთავრობა იძულებული იქნება უცხოელების და რუსების დასაცველად თავრიზში საკმაო ჯარი გაგზავნოსო. შაჰმა პირობა მოგვცა: ეიუნუდ დოვლეს ვებრძანებ, თავრიზში სურსათის შეტანის ნება მისცესო, მაგრამ ეს პირობა არ ასრულდა და ბრძანება არ გაგზავნა, რაიც უცხოელებისა და რუსების მდგომარეობას საშიშად ხდის. რადგან საქმემ ასეთი მიმდინარეობა მიიღო, რუსეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, ჯარი გაიგზავნოს ჯულფასა და თავრიზში. რა აზრით იგზავნება ჯარი შემოდ უკვე აღენიშნეთ. დამყარდება თუ არა მშვიდობიანობა თავრიზში და რუსების ქვეშევრდომთა და უცხოელების სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილი იქნება, ჯარს უკანვე დაიბარებთ“.

* * ზეტერბურგი. ჯერ კიდევ 7 აპრილს ინგლისისა და რუსეთის ელჩებს შაჰი დაჰპირდა, ეიუნუდ-დოვლეს ვებრძანებ, რომ ექვსი დღით მშვიდობიანობა ჩამოავდოს და თავრიზში სურსათის შეტანის ნება მიცესო. მიუხედავად დაპირებისა, ეიუნუდ-დოვლეს არავითარი ბრძანება არ მიუღია, რასაც თავრიზელი რუსის კონსული ამოწმებს. რუსეთისა და ინგლისის ელჩები ცუდ მდგომარეობაში ჩაკვირდნენ, რადგან მცხოვრებლებს შაჰის დაპირება შეატყობინეს. თავრიზში მყოფი უცხოელების მდგომარეობა საშიში ვახდა, რადგან შესაძლებელია, დამშუღლი ბრბო მათ თავს დაესხას. ამიტომ რუსეთის მთავრობამ გადასწვიტა, თავრიზში უცხოელების დასაცველილ საკმაო სამხედრო ძალა გაგზავნოს. კავკასიის ნამესტნიკს ნაბრძანები აქვს საჩქაროდ გაგზავნოს ჯარი სპარსეთში.

* * თეირანი. შაჰის ჯარის ერთმა მთავარ-სარდალთაგანმა ისარგებლა ჩამოვარდნილ მშვიდობიანობით და თავრიზის სამხრეთ-დასავლეთით რველიუციონერების გამაგრებულ პოზიცია დაიკრიბა ინგლისისა და რუსეთის მისიებმა ამაზე მხნე პრეტესტი განაცხადეს.

ზანცხადების მაგიერ



წინასიტყვაობა ბეჰაჰსე გამოცემის შესახებ.

სუთჯერ უკვე გამოიცა ჩვენგან ეს საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნი. ერთი წიგნიც აღარ დარჩენილა ხოლმე გაუვიდველი ორ წელიწადში. უკანასკნელად გამოვეცით 1902 წელში და 1905 წლამდე გაიყიდა. ამ წლიდან დაიწყო, ესრედ წოდებული განმათვისსუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობის დროს, თუცა ძრავალნი კვთხოვდენ ამ წიგნის გამოცემას, მაგრამ თვით მართებლობაც არ იყო დამდგარი ერთ კარგვეულ პროგრამის გზაზე და ამისთვის ამ წიგნის გამოცემაც შეეჩერეთ. უკანასკნელ დროსმრავალი წერილები მივიღეთ, რომლითაც კვთხოვდენ საღმრთო სჯულის წიგნის გამოცემას და ამისთვის შეუდევით შეიქმნე გამოცემას.

შეიქმნე გამოცემა ჩვენი საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნისა შეცვლილია, აი რაში მდგომარეობს ცვლილება: წიგნი გადის სამ ნაწილად. ზირველ ნაწილში მოთავსებულია საღმრთო ისტორია ძველი აღთქმისა და დარბეობა ლოცვების შესწავლისათვის. მეორე ნაწილში მოთავსებულია საღმრთო ისტორია ახალი აღთქმისა და მოკლე მოთხრობა ქრისტიანობის საწმუნოების გაგრცვლებასე. მესამე ნაწილში მოთავსებულია კატეხიზმა და სწავლა ღვთის მსახურებასე. ამით დღეს მოსწავლე წიგნსაც იაფად ვიდულობს და აღარც უფუჭდება იგი ხელში დიდი ხნის ხმარებით.

მასწავლებელთა სურვილისამებრ წიგნი გამოიცა რუსულის ტექსტით და ხმის ასამაღლებელ ნიშნებით.

საზოგადოდ ეველა საღმრთო სჯულის სასწავლებელ წიგნებს აქვს ორი უმთავრესი ნაკლულეფანება. წიგნის გამოცემლები მცადინობენ სახელმძღვანელო წიგნში რაც შეიძლება მეტი სიტყვები ჩაურიონსაღმრთო წერილიდან და ვრცლად მოუთხრან მოსწავლეს ისტორიები; ამასთან არ აქცევენ ყურადღებას ერთი წინადადების მეორესთან ახრით დაკავშირებას. ჩვენ გამოცდილებით ვიცით, თუ რა საძნელოა ახალგაზრდა მოსწავლისათვის საღმრთო წიგნების სიტყვების შესწავლა და რო-

ცა წინადადება არ არის ერთი მეორესთან აზრით დაკავშირებული. ამასთან გამოცდილება დაგვარწმუნა, თუ რამდენად სამსჯელოა ერთი სათაურით რამდენიმე ისტორიის მოთხრობის შესწავლა. ხშირად სამი ისტორიული მოთხრობა არის ერთის სათაურით და მოსწავლე ეველან მოვიყვება, თუ თავიდან ბოლომდის ათქმევინებ; მაგრამ ზირველი მოთხრობის შემდეგი თუ ჰქვითხე მეორე, ან შესაძე მოთხრობა, ვერ მოვიკებს, თუ თავიდან არ მოაუოლე. ამისათვის ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩვენ შევადგინეთ ეველან გაკვეთილები თავის სათაურებით და ამასთან ეურადლება მივაქციეთ, რომ თვითეულ გაკვეთილს თავისი სათაური ჰქონდეს და მთელი გაკვეთილის წინადადებანი ერთი მეორესედ ივენენ აზრით დაკავშირებულნი.

იქ, სადაც მოსწავლისათვის სავალდებულოა რუსულად შესწავლა სადმერთო სჯულისა, ქართული ტექსტი ძლიერ მეუწეობს ხელს მოსწავლეს რუსულ ენის შესწავლაში.

ვისაც ძიებალ სკოლიდან შესვლა სურს საშუალო სასწავლებელში, იქ უთუოდ მოსთხოვენ მოსწავლეს, რუსულად იცოდეს სადმერთო სჯული, და ამიტომაც დღეს-დღეობით საჭირო იქნება რუსულადც ჰქონდეს მოსწავლეს შესწავლილი ეს სადმერთო სჯული.

დ. ჯ. დამბაშექ

განხილვა.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის ორ-პირაულ ჟურნალს

XXVI წ. „მწემს“-ზე XXVI წ.

ე უ რ ნ ა ლ ი ს უ ა ს ი :

12 თვით 3 მან. - 6 თვით 2 მან.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ეგვილაში—რედაქციაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ჰ პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთი დაე-

თმობათ მთელის წლით ორ მანეთად.


ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ეგვილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ეურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: ВЪ Къиринъ, въ редакцію журнала „МЦКЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც მანეთნახევრად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი. რედაქტორ-გამომცემელი დეკნოზი დ. დამბაშექ.



ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

დამკარგო და მით დაგაზოქისაგან შემდგომი და გამომცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—**«მწვესია»** ს რედაქციაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები:

- 1. **ლოცვანი** ნახატოანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოახრობით. ამ ლოცვანში არს მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სეგობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 25 კ. და უყლოთ . . . 20 კ.

- 2. წესი სწეულის ზიარებისა და ცრცლი პანაშვილისა, ფასი . . . 10 კ.

- 3. **სოცხალა** და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20 —

- 4. **ძინდაკი** იოანე ოქროპირის წირვისა უყლოთ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 >

- 5. შემოკლებული ლოცვანი ანაწით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >

- 6. საქართველოს ეკლესიის წმიდანები რუს. 5 "

2. სასაწყოლო და სახელმძღვანელო წიგნები:

- 1. **ღარიგება** საღმრთო სჯულის სწავლებაზე, 30 კ. პირველი ნაწილი უყლოთ 25 კ. ყლით 30 კ.

- 2. **ღაწყებითი** გაყვითლები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15 —

- 3. **ახალ** სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 30 კ

- 5. **მღვდელთათვის** საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყლით . . . 20 კ

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯან-მრთელობის დაცვაზე.

- 1. **ახალ** კარბადნი, მკორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწო-

ნებული და ნება-ღა^რთულია კაცისის საექ-მო ჩრევესაგან ყლით ფასი . . . 1 მ. უყლოთ . . . 60 კ.

- 2. **ღარიგება** მხედველობა დაკეცსა და თვალღების მოვლაზე, ფასი . . . 10 —

- 3. **ჯანმრთელობა** და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

- 1. **მცხეთის ტაძარი** და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 15 კ.

- 2. **მელთის მონასტერი** და ცხოვრების აღწერილობა მეფეს-ღვთის დავით აღმაშენებ. . . 15 კ.

- 3. **შიო მღვიმის მონასტერი** და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.

- 4. **მთავარ-მოწ. დავით** და **კონსტანტინე** და **მოწამეთის მონასტერი**—ფასი . . . 5 კ.

- იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
- 5. **მარტის მონასტერი**, ფასი . . . 5 კ.
- 6. **მარტვილის მონასტერი** . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა სწავლობრივ სწავლა დარიგებით.

- 1. **ღვთის-მშობლის** დაბადება, სურათით . . . 2 —
- 2. **ტაძრად** მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2 —
- 3. **ამალღება** პატრონისა და ცხველის-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2 —

- 4. **შობა** უფლისა . . . 2 კ.
- 5. **მიჩამა** უფლისა, სურათით.—ფასი . . . 2 —

- 6. **სამება** ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა . . . 2 —
- 7. **ბზობა** სურათით—ფასი . . . 2 —
- 8. **აღდგომა** სურათით—ფასი . . . 2 —

- 9. **მიძინება** ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, . . . 2 —
- 10. **ხელთუქნელო** ხატის ისტორია . . . 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფანნი:

- 1. **წმიდა** მოწამე რაჭლენი, სურათით, ფასი . . . 3 კ.
- 2. **წმ. ნინო** ქართველთა განმანათლებელი . . . 2 —
- 3. **მეფე** დავით მესამე აღმაშენებელი . . . 5 —
- 4. **თამარ** მეფე, სურათით . . . 5 —

- 5. გიორგი მთაწმიდელი 10—
- 6. იოანე ზედნხელი 5—
- 7. შუმანიკა 2—
- 8. ქეფეენ დეოფალი 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულადა 8—

ხატები და მხატვრობანი.

იმეკონებიან პატარა იავ-ფასიანი ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოცტეულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დეკსაწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში უველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება ამ სთან იმეკონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინაი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6—7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6—5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოში 5 კ. ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუშნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ საკადი ხატები ფერგადღეული ლათონისა, სახელოდობა: ნინოსი, დავით და კონსტანტინესა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოში 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნილთა დაეთმობა სამ მან. ესეთი იმეკონებიან ვერცხლი აც, ფასი 40 კ.

7. რელიგიური და სხეობრივი შინაარსის წიგნები და საუბრები:

- 1. წმიდანი გვამდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, ბრიგორი ლთის-მთქმელი და იონანე ოძრნაკირი, სურათებით —ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ემარხულოდეთ —ფასი . 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—
- 5. სიკვდილი მართლისა, კონტრამიკულატის მიუშლის წაჩილი 5—
- 6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი 3—
- 7 შეიღების მოვალეობა მშობელთადმი 3—
- 8 მშობლების მოვალეობა შეიღთადმი 3—
- 9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ 3—
- 10 იუდეველთა სუფჯესა კათაშინა 3—
- 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
- 12 — შრომაზე 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი 5»

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. მამა სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მსთერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძნე იოსა ძისა ზირაქისა, სურათით. 5—
- 4. იოსები 5—
- 5. მრავალ წამებული იობი 5 კ.

11. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.

- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
 - 3. თამარ მეფე 25 კ.
- იმეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

ყოყნალის „მწეკსი“-ს

სტამბა

(დ. დ. ლამაზიძისა)

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზეპირებს. სტამბა ასრულებს სამუშაოს სუფთად და დროზე, ძლიერ დაკლებულ ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ლამაზიძის საკუთარ სახლებში.

Дозволено Цензурою 15 Апрелья 1909 года г. Кутаиси

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე, 15 აპრილი 1909 წ.

სტამბა ყოყნალის „მწეკსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამაზიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.